

უმაღლესი განათლების საკითხების მიმოხილვა 1990-2000 წლებში გამოცემული პერიოდიკის მიხედვით

(განათლების უახლესი ისტორიისათვის)

ბაქანიძე ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებების
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

ანოტაცია

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებამ ქართული საზოგადოება ახალი რეალობის წინაშე დააყენა. საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამ დღის წესრიგში დააყენა ახალი, საბჭოთა იდეოლოგიისაგან გათავისუფლებული, განათლების სისტემის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ სტრუქტურულ, არამედ შინაარსობრივ გარდაქმნასაც გულისხმობდა. საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების გარდაქმნის კვალობაზე, შეიცვალა იმ პერიოდში არსებული პერიოდული გამოცემების ორიენტაცია და თემატიკა, რომელიც, ცხადია, ასახავდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენი ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ქართულ პერიოდულ საგანმანათლებლო პრესაში განათლების, და კერძოდ, უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ასახვა რამდენიმე ძირითადი საკითხის მიმართულებით. საკითხს განვიხილავთ საქართველოში პერიოდული გამოცემების - „განათლება“, „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“, „სახალხო განათლება“ - მაგალითზე. წარმოდგენილ პრესაში ვხვდებით არაერთ მნიშვნელოვან საკითხს განათლების პოლიტიკის დაგეგმვის, უმაღლესი სკოლის რეფორმის, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ავტონომიურობა, სამეცნიერო და სასწავლო პროცესები უმაღლეს სკოლაში. დამუშავებული მასალის საფუძველზე ვასკვნით, რომ მიუხედავად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა 1990-იან წლებში, უმაღლესმა სკოლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, არ შეჩერებულა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა, უნივერსიტეტმა მოიპოვა ავტონომია და თავად განსაზღვრა სასწავლო-სამეცნიერო პროცესების შინაარსი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ქართულ პერიოდულ საგანმანათლებლო პრესაში განათლების, და კერძოდ, უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ასახვა რამდენიმე ძირითადი საკითხის მიმართულებით. საკითხს განვიხილავთ საქართველოში პერიოდული გამოცემების - საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გაზეთი „განათლება“/1991-1997 წლები/; მეცნიერ-პედაგოგთა და ბიზნესმენტა გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ /1996-2006 წლები/; გაზეთი „სახალხო განათლება“ /1999-2012 წლები/ მაგალითზე.

ამ კუთხით უმაღლესი სკოლის განვითარების საკითხების განხილვას არ შევხვდრით და, ვფიქრობთ, რომ ეს საჭიროა. ახალს არაფერს ვიტყვით, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების უახლესი ისტორიული წარსულის შესწავლას

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სფეროს და, ზოგადად, ქვეყნის მომავალი განვითარების თვალსაზრისით.

წარმოდგენილ პრესაში ვხვდებით არაერთ მნიშვნელოვან საკითხს განათლების პოლიტიკის დაგეგმვის, უმაღლესი სკოლის რეფორმის, უმაღლესი სკოლის განვითარების, სამეცნიერო საქმიანობის განვითარების, წახალისებისა თუ ხელშეწყობის შესახებ. ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა **უმაღლესი სკოლის ავტონომიურობა, სამეცნიერო და სასწავლო პროცესები უმაღლეს სკოლაში**, ვინაიდან, ცნობილია, რომ უმაღლესი სკოლის განვითარების უძირითადეს პოსტულატებს, კლასიკური უნივერსიტეტის იდეიდან გამომდინარე, სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენს.

1990 წელს განათლების რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფომ დაიწყო განათლების კონცეფციის შემუშავება. განათლების კონცეფციის შემუშავება უმაღლესი განათლებისთვის ცალკე შემუშავდა. აღნიშნულ საკითხზე განათლების სამინისტროს მხარდაჭერით რამდენიმე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლებმაც შეიმუშავეს უმაღლესი განათლების კონცეფციის რამდენიმე მოდელი. უმაღლესი განათლების კონცეფციის საბოლოო შეჯერებულ ვერსიაში აღნიშნული იყო, რომ უმაღლესი სკოლა, მართვის დეცენტრალიზებულ პრინციპს და **უმაღლესი სკოლის ავტონომიის გაძლიერებას საჭიროებს**, ასევე კონცეფციის მიხედვით, უმაღლეს სკოლას, რექტორს უნდა დაეიკისროს პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობით, სასწავლო-საწარმოო, სასწავლო სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობასა და ხარისხზე. (გაზეთი „განათლება“, 1991 წელი, აპრილი)

XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენებში სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში, სწორედ ამასთან დაკავშირებით საგაზეთო სტატიებში ვეცნობით, რომ **1990 წლის 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა გამოაცხადა უნივერსიტეტის ავტონომია**, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. „თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზაზე, უნივერსიტეტი როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო, როგორც ერის გონებისა და ზნეობის კერა, იღებს პასუხისმგებლობას ემსახურებოდეს არა მხოლოდ განსწავლული მეცნიერ-სპეციალისტების, არამედ კაცთმოყვარე თავისუფლად მოაზროვნე პიროვნების აღზრდას“. (გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990 წელი, №9) აღნიშნულ საკითხს ეხება უნივერსიტეტის პროფესორის ელგუჯა ხინთიბიძის სტატია ამავე გამოცემაში (1990 წელი, №9), სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი **უნივერსიტეტის ავტონომიის დეკლარაცია**, რომელშიც გატარებული იყო შემდეგი თეზები:

- უნივერსიტეტისა და მისი მმართველობის სტრუქტურის ცვლილება;
- მმართველი ორგანოების არჩევა-დამტკიცება;
- სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება-დამტკიცება;
- ახალი სპეციალობების შემოღება და ძველის გაუქმება
- სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებებისა და ხარისხების მინიჭება;

- საკადრო, საგარეო, სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო პოლიტიკის გატარება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

ამასთანავე, წარმოდგენილი დეკლარაციის მიხედვით, უნივერსიტეტის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციის, დაფინანსება უნდა წარმართულიყო საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში მისთვის ცალკე (საგანგებოდ) გამოყოფილი მუხლის საფუძველზე. სახელმწიფოს უნდა აეღო ვალდებულება უნივერსიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფაზე მის კომპეტენციაში ჩარევის გარეშე. ხოლო თავის მხრივ უნივერსიტეტს უნდა აეღო ვალდებულება - აღუზარდოს ქვეყანას განათლებული, მაღალხეობრივი თაობა - მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, აიყვანოს ქართული მეცნიერება თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე მეცნიერების დონეზე.

უნივერსიტეტის ავტონომიის მანიფესტის ხელმომწერნი ასაბუთებდნენ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიურობა მნიშვნელოვანია ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში.

მანიფესტის მიღების შემდეგ, უმაღლესი სკოლაში ტარდება რიგი რეფორმებისა, იცვლება მისაღები გამოცდების წესი, იწყება პედაგოგთა ატესტაცია, ფუძნდება საატესტაციო საბჭოები, იცვლება პროგრამები და მათი შინაარსი. ჩვენთვის საინტერესო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტმა მოიპოვა უფლება თვითონ განსაზღვროს განათლების შინაარსი, ის დისციპლინები, რომელთა სწავლებაც აუცილებელია ქართველი სტუდენტებისათვის. დარგობრივ პრესაში იბეჭდება საგამოცდო პროგრამები და საკითხები, ასევე ვეცნობით ცვლილებებს სხვადასხვა პროგრამაში. (გაზეთი „განათლება“ 1991. წ. სექტემბერი).

ასევე საგაზეთო სტატიებში ვეცნობით, რომ პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში აბიტურიენტებმა ჩააბარეს არა სსრკ ისტორიის, არამედ საქართველოს ისტორიის გამოცდა, ეს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა დამსახურება იყო. ავტონომიურობის გზაზე ეს ფაქტი ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

უნივერსიტეტის ავტონომიის გამოცხადების შემდეგ, უმაღლესი სკოლის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას გააფართოვოს საუნივერსიტეტო ხაზი - მაგალითად, ახალციხეში გაიხსნა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა და 100 სტუდენტით განისაზღვრა მისაღები კვოტა. ბოლნისში ამოქმედდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ფაკულტეტი სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია, დაწყებითი სწავლების მეთოდოლოგია და პედაგოგიკა. სამედიცინო უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნა ზუგდიდში, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტისა - მარნეულში.

გარდა სახელმწიფო სასწავლებლებისა ამ პერიოდში იხსნება კერძო უმაღლესი სასწავლებლებიც. 1991 წელს უკვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მხარდაჭერით 10 კერძო სასწავლებელი გაიხსნა. 1993 წლისთვის კი 126 საბიუჯეტო

უნივერსიტეტის პარალელურად, კერძო სასწავლებლების რიცხვი 100-ს აჭარბებს. დარგობრივ პრესაში კი აქტიურად მიმდინარეობდა ახალგაზსნილი დაწესებულებების პოპულარიზაცია.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, დარგობრივი პრესის ფურცლებზე არაერთი სტატია ეხება უმაღლეს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ კი - **სამეცნიერო საქმიანობას**. განსაკუთრებით აღსანიშნავია **სტუდენტთა აქტიურობა** ამ მიმართულებით, მაგალითად: 1990 წლის 31 მაისის „სახალხო განათლებაში“ იბეჭდება სტატია სახელწოდებით „პირველი საფეხური მეცნიერებაში“, რომლის მიხედვითაც ვიგებთ რომ, სტუდენტების ინიციატივით დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო-პუბლიცისტური კრებული „საფეხური“. სამეცნიერო კრებულის რედაქტორი და რედაქციის წევრები თავად სტუდენტები იყვნენ. კრებულის დაარსების პროცესში სტუდენტებს მხარდაჭერა ჰქონდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და გამომცემლობის მხრიდან. აღნიშნულ კრებულში თავდაპირველად ჰუმანიტარული ციკლის ნაშრომები იბეჭდებოდა და კრებულის შემდგენელი იმედს იტოვებდნენ რომ გაფართოვდებოდა ნაშრომის სამეცნიერო არეალი და მომავალში მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ახალგაზრდებიც დაბეჭდავდნენ სტატიებს. საწყის ეტაპზე „საფეხურის“ ტირაჟს 200 ერთეული შეადგენდა. (გაზეთი „სახალხო განათლება“ 1990 წელი, მაისი).

უმაღლესი სკოლის განვითარების საქმეში აღსანიშნავია **სამეცნიერო საბჭოების შექმნა**. საბჭოთა კავშირის პერიოდში სამეცნიერო საბჭო რეგიონული იყო, რომელსაც მოსკოვში უმაღლესი საატესტაციო კომისია აკომპლექტებდა და სწორედ იქ ხდებოდა მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენელთათვის ხარისხის მინიჭება. დარგობრივ პრესაში ვეცნობით, რომ უმაღლესი სკოლის რეფორმის ფარგლებში, **პირველი საბჭო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა**. უნივერსიტეტი იყენებს ავტონომიურობას ხარისხის მინიჭების საქმეში და უკვე საბჭოს დამსახურებით ხარისხს, ყველა ზემდგომი უწყების მონაწილეობის გარეშე მხოლოდ ღირსეულ კანდიდატს ანიჭებს. პროცედურულად დაწესებულება უზრუნველყოფდა დისერტაციის წინასწარ ექსპერტიზას, რაც დასკვნის სახით უნდა გაფორმებულიყო, დასკვნაში უნდა წარმოედგინათ როდის და რომელ სამეცნიერო საბჭოზე მოხდა სადისერტაციო თემის დამტკიცება, კვლევის სიახლე, ნაშრომის შესრულების ხარისხი და პრაქტიკული მნიშვნელობა. შემუშავებული იქნა სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც: სამეცნიერო საატესტაციო საბჭოებზე დისერტაციის წინასწარი განხვილის შემდეგ, ინიშნებოდა საჯარო დაცვა, სადაც საბჭოს წევრები უკვე გაცნობილნი იყვნენ სადისერტაციო ნაშრომს, ასევე ისმენენ ოპონენტთა დასკვნებს და შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას მიანიჭებინათ თუ არა დოქტორანტისთვის საძიებელი ხარისხი. (გაზეთი „განათლება“, 1993 წელი, ივნისი).

რეფორმის ფარგლებში ცვლილება განიცადა უმაღლეს სკოლაში **სასწავლო პროცესშიც**. 1996 წელს განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის მიხედვით, რომელსაც გაზეთ „განათლება, მეცნიერება. ბიზნესი“ ვეცნობით, **უნივერსიტეტი წარმოდგენილია როგორც - სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელსაც ორი საფეხური ბაკალავრიატი და მაგისტრატურა აქვს**. (გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ 1996 წელი, ივნისი)

უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესის განვითარების საქმეში საინტერესოა საკითხები, რომლებიც დარგობრივი პრესის მიხედვით მოვიძიეთ. ვეცნობით, რომ იცვლება განათლების შინაარსი, მაგალითად, ეტაპობრივად დაიხურა სამხედრო კათედრები ყველა უმაღლეს სასწავლებელში, რუსული ენა გაუთანაბრდა სხვა უცხოურ ენებს და მისი სწავლა გახდა არჩევითი. დაიწყო ახალი სპეციალისტების მომზადების და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების გეგმის შემუშავება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ რეიტინგული სისტემის დამკვიდრებაზე, რომელიც ტრადიციულ ჩათვლა-გამოცდებზე უფრო ეფექტიანი იყო. აკადემიური პერსონალის დატვირთვა 700 საათიდან ჩამოვიდა 500 საათამდე, შემცირდა სტუდენტთა რაოდენობები ჯგუფებში, სწავლების პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, ასევე აღდგა ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ-ლაბორატორიულ შეხვედრებზე დასწრების აღრიცხვა, ლექციების ხარისხის შესამოწმებლად შეიქმნა ინსპექციები, შეიქმნა სტუდენტური გაერთიანებები როგორც სამეცნიერო კუთხით, ისე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვისთვის. ჯერ კიდევ 1993 წელს იწყება მსჯელობა ქულების დაგროვების ამერიკულ მოდელზე გადასვლის შესახებ, რომელიც საკრედიტო სისტემის ანალოგია, ასევე სტატიაში ვხვდებით უმაღლესი სკოლის სამ საფეხურიან სწავლებაზე გადასვლის არგუმენტაციას. 1995 წელს კი ბაკალავრიატის საფეხურზე ვხვდებით ერთდროულად ორი პროფესიის დაუფლების პრაქტიკას - ძირითადი და პარალელური პროფესიების სახით. თუმცა განვითარების პარალელურად დარგობრივ პრესაში იბეჭდება არაერთი სტატია სხვადასხვა გადაცდომასა თუ დარღვევაზე, ვხვდებით სტატიებს უმაღლესი სკოლის პრობლემებზე, სტუდენტთა მიერ დისციპლინის დარღვევაზე, უნივერსიტეტების მიერ საშეღავათო პოლიტიკის კიდევ უფრო შერბილებაზე, რაც სწავლის ხარისხზე აისახება. 1992 წლის გაზეთ „განათლებაში“ გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის კ. გაბაშვილის ბრძანება, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო თუ კერძო უმაღლესი სკოლების მიერ მოსამზადებელი განყოფილების საქმიანობის წესის დარღვევის და დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას. კერძოდ, უმაღლეს სკოლაში მოსამზადებელ განყოფილებაზე საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიღება, მათ მიერ მოსამზადებელი კურსების დასრულების შემდეგ მსმენელთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ან გასაუბრების გარეშე ხდებოდა, რაც თავის მხრივ, ნორმატიული წესების დარღვევა იყო და მიგვანიშნებს, რომ უმაღლეს სკოლაში არაკეთილსინდისიერად ხვდებოდნენ და ამთავრებდნენ ახალგაზრდები.

და ბოლოს, განათლების რეფორმის სახელმწიფო პოლიტიკას მოჰყვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა დაფუძნების, გახსნის, გაუქმების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დებულება, შემუშავდა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა - რომლის მიხედვითაც უმაღლესი განათლების საფეხური მოიცავდა შემდეგი ტიპის სასწავლებლებს: უნივერსიტეტი - რომელიც არის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების ძირითად დარგებში, პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი (ინსტიტუტი), რომელიც არის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი და ამზადებს პედაგოგებს ყველა დონის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებისთვის, გარდა გიმნაზიებისა და ლიცეუმებისა, რომელთა პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სკოლა ამზადებს. ხელოვნების

უმაღლესი სასწავლებლები - სასწავლო შემოქმედებითი და სამეცნიერო ცენტრები (აკადემია, ინსტიტუტი, კონსერვატორია), დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლები (ინსტიტუტები) - პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) სასწავლო სამეცნიერო ცენტრი. (გაზეთი: „განათლება“ 1995 წელი, ოქტომბერი)

1997 წელს დაიწყო აქტიური განხილვა განათლების შესახებ კანონპროექტისა, რომელიც პირვანდელი სახით არის წარმოდგენილი გაზეთ „განათლების“ 1997 წლის მე-14-15 ნომრებში. აღნიშნული კანონპროექტის როგორც საჯარო, ისე დახურულ განხილვებში აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო საზოგადოება.

მოცემულ სტატიაში შევეცადედ წარმოგვედგინა განათლების სფეროში გამოცემულ სახელმწიფო თუ კერძო ბეჭდურ მედიაში ასახული უმაღლესი სკოლის უახლესი ისტორიის ძირითადი საკითხების განვითარების გენერალური ხაზი. ჩვენს მიერ დამუშავებული ჟურნალ-გაზეთების ათობით ნომრიდან შევეცადეთ ლაკონურად წარმოგვედგინა უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის განვითარების განვლილი გზა 1991-2000 წლების პერიოდში. დამუშავებული და წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა, უმაღლესმა სკოლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, არ შეჩერებულა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა, უნივერსიტეტმა მოიპოვა ავტონომია და თავად განსაზღვრა სასწავლო-სამეცნიერო პროცესების შინაარსი. ეს კი ერთი ნაბიჯია განვითარების იმ რთულ გზაზე, რომელიც ქართულმა უნივერსიტეტმა გაიარა და რომელსაც იგი ამჟამადაც აგრძელებს, მიუხედავად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური სირთულეებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „განათლება“ 1991-1997 წლები;
2. გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ 1996-2006 წლები;
3. გაზეთი „სახალხო განათლება“ 1999-2012 წლები;
4. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ 1990 წელი;

Article received 2021-12-03